



დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის  
31 აგვისტო, 2021

საკონტაქტო პირი  
თბილისი: გვანცა ნადირაძე  
gnadiradzea@ndi.org, +995 593 78 83 30  
ვაშინგტონი: კლეიტონ მაკკლესკი  
media@ndi.org

### NDI საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის საერთაშორისო საარჩევნო პროგრამას იწყებს

ვაშინგტონი – ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) დღეს საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების წინ მაღალი დონის შეხვედრების დაწყება დააანონსა. შეხვედრები მიზნად ისახავს საქართველოს დემოკრატიული განვითარების, ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას; ამასთან, გამოხატავს საერთაშორისო საზოგადოების მოლოდინს, რომ არჩევნების პროცესში ჩართული ყველა სუბიექტი დემოკრატიული არჩევნებისა და პოლიტიკური პროცესების ყველა პრინციპს დაიცავს.

მაღალი დონის შეხვედრებს NDI-ს სახელით გაუძღვებიან: ჰოვარდ დინი, ვერმონტის შტატის ყოფილი გუბერნატორი და NDI-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და კენ უოლაკი, ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის (NED) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და NDI-ის ყოფილი პრეზიდენტი. გუნდის სხვა წევრებს შორის არიან: პერ ეკლუნდი, ევროკავშირის ყოფილი ელჩი საქართველოში; ემი ინგლიში, საგარეო პოლიტიკის უფროსი მრჩეველი, სენატორი ჯინ შაჰინის ოფისიდან; ჰანა თობურნი, აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის უფროსი სპეციალისტი; კეტ ქოსგროვი, უფროსი საკანონმდებლო თანაშემწე კონგრესმენ ჯერალდ კონოლის ოფისიდან; ბენ კუპერი, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წარმომადგენელი, ევროპის, ენერჯო, გარემოსდაცვითი და კიბერუსაფრთხოების საკითხების ქვეკომიტეტიდან; მელისა მუსიო, NDI-ის ერაზიის რეგიონული თანადირექტორი; პეტ მერლო, NDI-ის არჩევნების პროგრამების დირექტორი; დაალან გილამი, NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი. გუნდი ვირტუალურ რეჟიმში პარტიების, ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებს შეხვდება.

აღნიშნული შეხვედრები NDI-ის 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნებისთვის შემუშავებული, მრავალკომპონენტური პროგრამის პირველ ფაზას წარმოადგენს. სექტემბრის

დასაწყისში NDI საქართველოში არჩევნების გრძელვადიანი შეფასების, მცირე ზომის მისიას გააგზავნის. ინსტიტუტის გრძელვადიანი ანალიტიკოსები არჩევნებთან დაკავშირებულ რამდენიმე საკვანძო საკითხს შეისწავლიან, მათ შორისაა: არჩევნების ადმინისტრირება, საარჩევნო კამპანიები, საინფორმაციო გარემო, გენდერისა და ინკლუზიის საკითხები. სექტემბრის ბოლოს, უშუალოდ არჩევნების წინ, მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და არჩევნებში კონსტრუქციულად მონაწილეობის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, NDI-ის გუნდი პარტიების, მთავრობის, საარჩევნო ადმინისტრაციის, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და დიპლომატიური საზოგადოების წარმომადგენლებთან, დისკუსიების მეორე ეტაპს გამართავს.

NDI-ის არჩევნების საერთაშორისო პროგრამა საქართველოს კანონდებლობისა და [არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციის](#) შესაბამისად განხორციელდება. პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ არჩევნებისა და პოლიტიკური პროცესების გაძლიერების კონსორციუმის (CEPPS) ფარგლებში.

\*\*\*

*NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში პარტნიორებთან ერთად მუშაობს, რომ გააძლიეროს და დაიცვას დემოკრატიული ინსტიტუტები, პროცესები, ნორმები და ღირებულებები, რათა ყველასთვის ცხოვრების უკეთესი ხარისხი უზრუნველყოს. NDI მსოფლიოს ხედავს როგორც ადგილს, სადაც დემოკრატია და თავისუფლება იმარჯვებს და ყველას ღირსება დაცულია.*